ხელშეკრულება N8-27

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი **05.12.2019წ.**

ერთი მხრივ **სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“,** შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის **ვახტანგ ბააკაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „მშენებელი 2012“** შემდგომში - მიმწოდებელი, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ოლეგ ქარსელაძის**სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გიორგი ბერიძის 2019 წლის 03 დეკემბრის **N1655-07** მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელება (**CPV-45442180**) - შემდგომში სამუშაო.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4920.26 (ოთხი ათას ცხრაას ოცი ლარი და ოცდაექვსი თეთრი)** ლარს.

3.2 მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობები, ერთეულის ფასები და საერთო ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართში N1 - ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს პრეტენზია არ გააჩნია.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.**

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს შესრულება განახორციელოს საქართველოში მოქმედი ნორმატიული და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულებისთანავე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამუშაო ფართის დასუფთავება, ნარჩენების, სამშენებლო ნაგვის მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა და მათი უტილიზაცია.

დ) მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულება განახორციელოს ისე, რომ არ შეფერხდეს შენობაში მიმდინარე სამუშაო პროცესი და მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა.

ე) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს ახალი, ხარისხიანი სამშენებლო მასალებით, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სამშენებლო მასალების ხარისხის და/ან წარმოშობის სერთიფიკატი, საჭიროების შემთხვევაში ნიმუში.

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია**:**

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული სამუშაოების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. სამუშაოს ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და შესაბამისი შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2 შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება 1 წლიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარაების აქტის გაფორმებიდან.

5.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ, შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, (მაგრამ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა მექანიკურად გამოწვეული დაზიანებისა.

5.4 აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული სამუშაოები, ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც სამუშაოების შესრულების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ შტატგარეშე მოსამსახურე თეიმურაზ ხარატიშვილი.

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **10 (ათი)** დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს გაწეული სამუშაოების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

მუხლი 7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 სამუშაოების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2.იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3. გაწეული მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ შტატგარეშე მოსამსახურე თეიმურაზ ხარატიშვილი.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

10.3. თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2020 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასზე ხელმოწერა ხორციელდება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ 2017 წლის 21 აპრილის საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი:**
სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“	შპს „მშენებელი 2012“
ს/კ: 205382398	ს/კ:442569178
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 76ბ	მის: ქ.თბილისი, მირიან მეფის ქ. N96.
ტელ: 2305175;	ტელ: 599 44 51 22
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	სს „ლიბერთი ბანკი“
სახაზინო კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა: N200122900	ანგ. N GE59LB0113171428259
ხელმძღვანელის მოადგილე	დირექტორი
ვახტანგ ბააკაშვილი	**ოლეგ ქარსელაძე**

ფორმა N2

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

№	სამუშაოს ჩამონათვალი	ზან.ერთ.	რაოდენ.	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულის ფასი	ჯამი	ერთეულის ფასი	ჯამი	ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9
	I სანდანადგარების მოწყობა							
	სადემონტაჟო სამუშაოები							
1	სან. დანადგარების (უნიტაზი, ნიჟარი) დემონტაჟი და დასაწყობება	წერტილი	5.0	0.00	0.00	30.00	150.00	**150.00**
2	ხელბანი ნიჟარის მოწყობა შემრევითა და ყველა საჭირო აქსესუარით	წერტილი	1.0	130.00	130.00	50.00	50.00	**180.00**
3	ახალი უნიტაზი მონტაჟი ჩამრეცხი ავზით და ყველა საჭირო აქსესუარით	წერტილი	5.0	160.00	800.00	50.00	250.00	**1050.00**
4	ჩამრეცხი ავზების შეცვლა უნიტაზებზე	წერტილი	2.0	30.00	60.00	30.00	60.00	**120.00**
	ჯამი							**1500.00**
	II. სანიაღვრე და კანალიზაციის მილების შეფუთვა თაბაშირ-მუყაოს ფილები							
1	ლითონის სანიაღვრე 150 მმ-იანი დგარის მილისა და მუხლის ჩანაცვლება პლასტმასის სქელკედლიანი მილითა და მუხლით	წერტილი	1.0	90.00	90.00	220.00	220.00	**310.00**
2	სანიაღვრე და კანალიზაციის დგარების შემოსვა ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილებით	მ²	12.0	7.50	90.00	10.00	120.00	**210.00**
3	სანიაღვრე და კანალიზაციის დგარების თაბაშირ-მუყაოს შეფუთვის შეფითხვნა და შეღებვა მაღალი ხარისხის ინტერიერის წყალემულსია სოფიტებით	მ²	12.0	5.00	60.00	7.00	84.00	**144.00**
4	მდფ-ის კარების მოწყობა საკეტით და ყველა საჭირო აქსესუარეთი (ორი კარი)	მ²	3.7	140.00	518.00	40.00	148.00	**666.00**
	ჯამი							**1330.00**
	III. სერვერის სათავსოს მოწყობა კიბის უჯრედში - 1 სართულზე							
1	ტიხარისა და გადახურვის მოწყობა თაბაშირ-მუყაოს ორმაგი ფილებით - 1 სართულის კიბის ქვეშ	მ²	10.5	17.00	178.50	10.00	105.00	**283.50**
2	ტიხარისა და გადახურვის შეფითხვნა და შეღებვა ორმხრივად მაღალი ხარისხის ინტერიერის წყალემულსია საღებავით	მ²	21.0	5.00	105.00	7.00	147.00	**252.00**
3	ორფრთიანი მდფ-ის კარის მოწყობა ყველა საჭირო აქსესუარით	მ²	2.6	140.00	364.00	40.00	104.00	**468.00**
4	პლინტუსის მოწყობა ტიხრის ორივე მხარეს	გრ/მ	9.0	2.50	22.50	5.00	45.00	**67.50**
5	ობიექტის დასუფთავება და სამშენებლო ნაგვის გაზიდვა	ტ	2.0			60.00	120.00	**120.00**
	ჯამი							**1191.00**
	ჯამი							**4021.00**
	ზედნადები ხარჯი 10%	**10%**						**402.10**
	ჯამი							**4423.10**
	გეგმიური დაგროვება 8%	**8%**						**353.85**
	ჯამი							**4776.95**
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	**3%**						**143.31**
	ჯამი							**4920.26**
	დღგ (18%)	**18%**						**0.00**
	სულ ჯამი							**4920.26**

შეადგინა შპს „მშენებელი-2012“-ს
დირექტორმა ოლეგ ქარსელაძე